

საქველმოქმედო პროგრამა ერთად მიუსაფარი ცხოველების დასახმარებლად

საქართველო, 2021 წლის 6 იანვარი



საქველმოქმედო პროგრამაში მონაწილე მხარეები:

- კომპანია „ზომარტი“ - <http://zoomart.ge/>
- კომპანია „Wolt“ - <https://www.facebook.com/woltgeorgia>
- ააიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ – GSPSA - <http://gspsa.org.ge/>

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წელს პროგრამის მონაწილეების მხრიდან ქუჩის ცხოველებისთვის ახალი წელი ზრუნვით დაიწყო, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში.

კომპანია „ზომარტი“ და „ვოლტი“ სამართებლივი ფორმით არიან მეწარმე სუბიექტები (კომერციული ორგანიზაციები) და მათი მხრიდან საქველმოქმედო პროგრამაში მონაწილეობა მეტყველებს მათ დიდ სოციალურ პასუხისმგებლობაზე. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კომპანია „ზომარტი“ სისტემატიურად საქველმოქმედო პროგრამების ფარგლებში ეხმარება მიუსაფარ ცხოველებს საკვებით და სხვა საშუალებებით.

2020 წლის დეკემბრის ბოლოს „საქართველოს ცხოველთა დაცვის და გადარჩენის საზოგადოებამ“ კომპანიებისგან: ზომარტიგან და ვოლტისგან მიიღო შემოთავაზება საქველმოქმედო პროგრამაში მონაწილეობაზე. დაიგეგმა საქველმოქმედო კამპანიის ჩატარება წლის ბოლო შაბათ-კვირას, რაც ითვალისწინებდა მაღაზიათა ქსელის - „ზომარტის“ მიერ ამ ორი დღის განმავლობაში კომპანია „ვოლტის“ საშუალებით გაყიდული პროდუქციით შემოსული სრული თანხის გადარიცხვას GSPSA-სთვის, რომელიც პრაქტიკულად მიმართავს

და გამოიყენებს თანხებს რეგიონებში მიუსაფარ ცხოველთა ყოფის გასაუმჯობესებლად და მათი კეთილდღეობისთვის.

აქციაში მონაწილეობა და დახმარების ხელის გაწოდება მიუსაფარი ცხოველებისთვის იყო ძალიან მარტივი და შეეძლო ნებისმიერ მსურველს. ამისთვის კი საკმარისი იყო ვოლტის აპლიკაციის საშუალებით „ზომარტის“ ნებისმიერი პროდუქციის შეკვეთა საკუთარი ოთხფეხა მეგობრისთვის, პროდუქცია ადრესატამდე ვოლტის კომპანიას უფასოდ მიჰქონდა.

პროგრამის მიზნობრიობა

პროგრამაში მონაწილე მხარეებმა ერთად თავიდანვე განსაზღვრეს საქველმოქმედო პროგრამის მიზნობრიობა და მიმართულება.

მხარეების შეთანხმებით პროგრამის მიზნობრიობაა:

1. მიუსაფარი ძუ ძაღლების სტერილიზაცია/ვაქცინაცია.
2. ტრავმირებული (დასახიჩრებული) მიუსაფარი ცხოველისთვის ვეტერინარული დახმარება და სარეაბილიტაციო უზრუნველყოფა.

ცხოველების რაოდენობა დამოკიდებული იყო თანხის ოდენობაზე და კონკრეტული ვეტერინარული კლინიკასთან (თავშესფართან) შეთანხმებაზე.

GSPSA-ს წინადადებით აღნიშნული პროგრამა მიზანშეწონილია ჩატარდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზღვრებში ბინადარ მიუსაფარ ძაღლებზე. აღნიშნული გადაწყვეტილება კონკრეტულ რეგიონზე მიღებული იქნა შემდეგი გარემოების გათვალისწინებით: 1. აღნიშნულ რეგიონში (ზუგდიდში) იმყოფება GSPSA-ს ოფიციალური წარმომადგენელი, რომელმაც ზედმიწევნით იცის აღნიშნულ რეგიონში მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციასთან დაკავშირებული პრობლემები; 2. აღნიშნულ რეგიონში პანდემიის დაწყების პერიოდიდან (2020 წლის მარტიდან) GSPSA-ს მიერ მიმდინარეობს მიუსაფარ ცხოველთა ყოფასთან დაკავშირებული პროგრამები (საკვებით და პრეპარატებით დახმარება, გაჩუქება და ა.შ). შესაბამისად GSPSA-ს გარკვეულ წილად აქვს ამ რეგიონში საქველმოქმედო პროგრამებში მონაწილეობის წილი და გამოცდილება; 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი მიუსაფარი ცხოველების ყოფითი მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია. ქუჩაში გვხვდება ოჯახებიდან მიტოვებული ბევრი ცხოველი, არის ინფექციური დაავადებები, მოსახლეობის მხრიდან არ ხდება საკვებით უზრუნველყოფა, არის სისასტიკის ბევრი ფაქტები და ა.შ.; 4. 2020 წლის გაზაფხულზე მუნიციპალიტეტის პროგრამის ფარგლებში GSPSA-ს წარმომადგენლის უშუალო აქტიურობით და ჩართულობით 22 მიუსაფარ ცხოველს (ძაღლს) ოზურგეთის კერძო თავშესაფარში ჩაუტარდა სტერილიზაციის ოპერაცია და დაბრუნებულები იქნენ თავდაპირველ ბინადრობის ადგილზე. აღნიშნულიდან გამომდინარე GSPSA-ს მიაჩნია, რომ ამ რეგიონში მოხდეს აღნიშნული პროგრამის განხორციელება.

ფინანსური ნაწილი

2020 წლის 26 და 27 დეკემბერს ჩატარებული საქველმოქმედო კამპანიით მიღებულმა თანხამ შეადგინა 3970.00 (სამი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარი, რომელიც კომპანია „ზოომარტმა“ 2021 წლის 05 იანვარს სრულად გადაურიცხა GSPSA-ს რეგიონ(ებ)ში გარკვეული რაოდენობის მიუსაფარი ცხოველების სტერილიზაციის პროგრამის და ტრავმირებული ცხოველის ვეტერინარული დახმარების უზრუნველსაყოფად.

GSPSA კომპანია „ზოომარტთან“ და „ვოლტთან“ შეთანხმებით მიღებულ თანხას გადაანაწილებს შემდეგი მიმართულებით:

1. 30 ძუ ძაღლის სტერილიზაციის ოპერაცია /ცოფზე ვაქცინაცია - 2100 ლარი (ერთ ძაღლზე 70 ლარი);
2. ტრავმირებული ძაღლების (კატების) ვეტერინარული მომსახურება და სარეაბილიტაციო პერიოდი - 1000 ლარი;
3. ვეტერინარული და სამედიცინო პრეპარატები და სახარჯი მასალები, ტრავმირებული ძაღლებისთვის პოსტოპერაციულ პერიოდში სპეციალური (მათ შორის ბუნებრივი) საკვები - 600 ლარი
4. სარეზერვო (გაუთვალისწინებელი) თანხა - 270 ლარი.

სულ: 3970.00 ლარი.

აღნიშნულ ჩამონათვალში ფინანსური გაანგარიშება არის საორიენტაციო, მაგრამ მაქსიმალურად დაგეგმილი, ხოლო რეალური სიტუაციიდან გამომდინარე მოხდება დეტალური ხარჯების ანგარიში შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტაციასთან მიმართებაში. საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილი იქნება ხელშეკრულებები, ფაქტურები და სხვა.

ჩამონათვალის დეტალური ინფორმაცია:

1. 30 ძუ ძაღლის სტერილიზაციის ოპერაცია /ცოფზე ვაქცინაცია - 2100 ლარი (ერთ ძაღლზე 70 ლარი).

აღნიშნული მომსახურებაზე ხელშეკრულების გაფორმება დაგეგმილია ინდ. მეწარმე გელა ნაცვლიშვილთან (ს/კ. 60001147566), რომლის დაქვემდებარებაში საიჯარო ქონება, რომლის მისამართია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოზურგეთი, წარმოადგენს ცხოველთა თავშესაფარს და ვეტერინარულ კლინიკას. მეწარმეს აქვს გამოცდილება და პრაქტიკა ცხოველთა სტერილიზაცია/ვაქცინაციის ვეტერინარულ მომსახურებაზე.

30 ძაღლის ვეტერინარული მომსახურება მოხდება 2 ეტაპად.

მომსახურებაში შედის: საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში ჩაიბაროს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიუსაფარი ცხოველი, განახორციელოს მისი ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე სპეციალური ავტო ტრანსპორტით, შესაბამისი გამოკვლევების შემდგომ ჩაუტაროს ცხოველს სტერილიზაცია, ვაქცინაცია,

ყურის კლიპის მეშვეობით მარკირება და დააბრუნოს რეგისტრირებული ცხოველი მითითებულ ადგილას.

ცხოველის თავშესაფარში პოსტოპერაციული პერიოდი განისაზღვრება სულ მცირე 3 კალენდარული დღით. იმ შემთხვევაში, თუ ცხოველს დაუდგინდა სხვა დაავადება, ან სხვა ობიექტური მიზეზით აუცილებელია ცხოველის დამატებითი პერიოდით დატოვება თავშესაფარში, შედგება აქტი და დამატებით თანხას გადაუხდის დამკვეთი ორგანიზაცია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასტერილიზაციო ცხოველების შერჩევა არის GSPSA-ს წარმომადგენლების კომპეტენცია. ოპერაციამდე უნდა მოხდეს GSPSA-ს წარმომადგენლის მიერ ცხოველის დეჰელმინთიზაცია (ჭიაზე დამუშავება) ქუჩის პირობებში 7 დღით ადრე.

ოზურგეთის ცხოველთა კლინიკის და თავშესაფრის წარმომადგენელთან GSPSA-ს წარმომადგენლის მხრიდან მოხდა აღნიშნულ საკითხებზე მოლაპარაკება და უახლოეს პერიოდში გაფორმდება ხელშეკრულება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2020 წლის გაზაფხულზე (პანდემიის პერიოდში) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით და GSPSA-ს წარმომადგენლის ჩართულობით მოხდა 22 ძაღლის სტერილიზაცია/ვაქცინაციის ანალოგიური პროგრამის წარმატებით უზრუნველყოფა.

2. ტრავმირებული ძაღლების (კატების) ვეტერინარული მომსახურება და სარეაბილიტაციო პერიოდი - 1000 ლარი;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს სხვა რეგიონებში ძალიან ხშირია ადამიანის მხრიდან მიუსაფარ ცხოველებზე სისასტიკე, არასათანადო მოპყრობა და მოკვლაც. ხშირია ასევე ავტოსაგზაო შემთხვევები და ცეცხლსასროლი იარაღით ცხოველის დაზიანება.

ბუნებრივია, რომ ასეთ სიტუაციაში ცხოველები საჭიროებენ შველას და დახმარებას. აღნიშნული თანხა შეიძლება დაიხარჯოს ერთ ან რამოდენიმე ცხოველის გადარჩენაზე და მომსახურებაზე, გააჩნია დაზიანების ხარისხს, ოპერაციის სირთულეს და სარეაბილიტაციო პერიოდს. ასეთ შემთხვევებში GSPSA გააფორმებს კონკრეტულ ხელშეკრულებას ადგილობრივ ვეტერინარულ კლინიკასთან, ხოლო ცხოველის მძიმე დაზიანების შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ ცხოველის გადმოყვანას თბილისში.

ამ სახის მომსახურებაზე წინასწარი ხელშეკრულება და ინვოისი ვერ შედგება. GSPSA საბოლოოდ წარმოადგენს ანგარიშს და ყველა დოკუმენტაციას ტრავმირებული/დასახიჩრებული ცხოველის შესახებ.

3. ვეტერინარული და სამედიცინო პრეპარატები და სახარჯი მასალები, ტრავმირებული ძაღლებისთვის პოსტოპერაციულ პერიოდში სპეციალური საკვები - 600 ლარი

ვეტერინარული და სამედიცინო პრეპარატები და სახარჯი მასალები აუცილებელია შესამენად ამ პროგრამისთვის. მხოლოდ 30 ძაღლი ვაქცინაციამდე საჭიროა დამუშავდეს პრეპარატით (ჭიის წამლით), რომლის საერთო ღირებულება დაახლოებით 200 ლარია. ასევე ოპერაციის შემდგომ პერიოდში გარკვეულ ძაღლებზე იქნება საჭირო სხვადასხვა პრეპარატები და სამედიცინო სახარჯი მასალები. რეალური ხარჯების დოკუმენტაციები დაანგარიშდება პროგრამის დასრულების შემდეგ.

4. სარეზერვო (გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის) თანხა - 270 ლარი.

აღნიშნული თანხა გამოყენებული იქნება გაუთვალისწინებელი შემთხვევებში, როდესაც აუცილებელი შეიქმნება რომელიმე მიმართულებით თანხის დამატება. იმ შემთხვევაში თუ არ იქნა საჭირო თანხის დამატება გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, თანხა მოხმარდება ტრავმირებულ ცხოველებს.

შენიშვნა: აღნიშნული პროგრამის განხორციელებას აუცილებლად სჭირდება დამატებითი სახსრები (საწვავი, სხვადასხვა საკვები და სხვა), რასაც უზრუნველყოფს GSPSA და მოხალისეები.

პროგრამის ვადები:

აღნიშნული პროგრამა რეალურად დაიწყება მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე. საორიენტაციოდ სტერილიზაციის ნაწილის პერიოდი იქნება 15 თებერვლამდე. რაც შეეხება ტრავმირებული ცხოველების დახმარებას, ეს დამოკიდებულია თუ რამდენი ცხოველის დახმარება იქნება საჭირო. პროგრამა გაგრძელდება თანხის სრულ გახარჯვამდე. საორიენტაციოდ პროგრამა დასრულდება არა უგვიანეს თებერვლის ბოლომდე.

GSPSA უმოკლეს ვადებში გააფორმებს ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს ვეტერინარულ კლინიკებთან და თავშესაფართან. პროგრამის მსვლელობისას ინფორმაციებს და ფოტო-ვიდეო მასალებს გამოაქვეყნებს სოციალური ქსელით. პროგრამის სრულად დასრულების შემდეგ სრულ ანგარიშს გადაუგზავნის პროგრამის მონაწილე მხარეებს. ანგარიშის მოკლე ვერსიას გამოაქვეყნებს საიტში.

ააიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ - GSPSA